

# CAD/CAM-ის ჯგუფში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა

ჯგუფის ხელმძღვანელი, ტ.მ.კ., დოც. ალ.შარმაზანაშვილი

CAD/CAM-ის ჯგუფი შეიქმნა 1992 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე არსებულ №381, სამანქანათმშენებლო წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციის ლაბორატორიაში. ჯგუფის სამუშაო ბირთვს ძირითადად ასპირანტები და მაგისტრები შეადგენენ.

ჯგუფში მიმდინარეობს საკვლევ-სამეცნიერო სამუშაოები მექანიკური დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზებული დაპროექტების სისტემების შექმნაზე. ამასთან დაკავშირებით სამუშაოები ხორციელდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- 1) ტექნოლოგიური ოპერაციების სტრუქტურული სინთეზი, ასპირანტი ა.მამათავრიშვილი, მაგისტრები - დ.ხაბაზაშვილი, ლ.შონია, ზ.კაჭარავა, ისლობოდინი. დამუშავდა 4 სამაგისტრო და 1 საკანდიდატო დისერტაციები.
- 2) ტექნოლოგიური პროცესების ადს-ის არქიტექტურის კვლევა, ასპირანტები ლ.მეგრელიშვილი და ნ.დოლიძე, მაგისტრები - გ.მუჩიძე და თ.ნასყიდაშვილი. დამუშავებულია 2 სამაგისტრო დისერტაცია.

გარდა ამისა მიმდინარეობს ცალკეული სამუშაოები - ნამზადების შერჩევის სისტემის (მაგისტრი ე.გარიშვილი); მჭრელი ინსტრუმენტის დაპროექტების სისტემის (მაგისტრი ე.რაზმაძე); პარამეტრული ოპტიმიზაციის ევრისტიკული მოდელის (მაგისტრი ი.ხარაძე), შექმნაზე.

მიმდინარე წელს წარჩინებით იქნა დაცული ორი სამაგისტრო დისერტაცია: სიხისტის პარამეტრების გამოკვლევისა (ხელმძღვანელი დოც. გ.შანშიაშვილი, მაგისტრი თ.წიკლაური) და სახარატო ზონების სინთეზის მეთოდის დამუშავების (ხელმძღვანელი დოც. ალ.შარმაზანაშვილი, მაგისტრი ზ.კაჭარავა), შესახებ.

მიმდინარე წელს, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ორი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჯგუფის სამეცნიერო ცხოვრებაში.

პირველი დაკავშირებულია ჯგუფის წევრების მონაწილეობასთან ქ.მანჩესტერში, ინგლისი, ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმში - Tools and Methods of Concurrent Engineering - TMCE, რომელზეც მოხდა ჩატარებულ საკვლევ-სამეცნიერო სამუშაოთა შედეგების

გატანა და აპრობაცია მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების სამსჯავროზე. სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები დასავლეთ ევროპის, ამერიკის და იაპონიის 30 უნივერსიტეტიდან.

მეორე მოვლენა კი ეხება ჯგუფის მონაწილეობას პროგრამული სისტემების პირველ რესპუბლიკურ კონფერენცია-გამოფენაში, SofTEC'99, რომელიც ჩატარდა სტუ-ში, ქ.თბილისი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჯგუფში დამუშავებული პროგრამული პაკეტების კომპლექსი და ჟიურის გადაწყვეტილებით ამ ნაშრომს მიენიჭა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომი.



## დ ი კ ლ ო მ ი

რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური  
კონფერენცია-გამოფენა SofTEC'99-ის  
საორგანიზაციო კომიტეტი

აჯილდოებს

### პირველი ხარისხის პრიზით

კონფერენცია-გამოფენის კონკურსში გამარჯვებული, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტის, CAD/CAM-ის ფგუფში შექმნილი

პროგრამული პაკეტების

- სახარატო ოპერაციების პროგრამირების სისტემა Turbo T
- სახარატო ოპერაციების ოპიშუბო-ომინტირებული პროგრამირების სისტემა
- სახარატო ზონების სინთეზის მასპროტული სისტემა

ავტორებს: ა. შარმაზანაშვილს (ხელმძღვანელი),  
ა. მამათაყარიშვილს, ლ. მეგრელიშვილს, ნ. დოლიძეს, დ. საბაზაშვილს,  
ე. სლობოდინს, დ. შონიას, ზ. კაჭარავას

საორგანიზაციო კომიტეტის  
სახელით

პროფ. რამაზ ხუროზე


# ჭრის ძალის მოდების წერტილში ტექნოლოგიური სისტემის (ჩსიდ) სისხისტის განსაზღვრის მეთოდების ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
 მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, №20 კათედრა  
 დოც. გ.შანშიაშვილი, მაგისტრი თ.წიკლაური

ლითონსაჭრელ ჩარხზე ნამზადის დამუშავებული ზედაპირის გეომეტრიული ფორმისა და სიზუსტის განმსაზღვრელი მიმდინარე ზომა  $R$  (ნახ.1) შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად და წარმოდგენილი იქნეს (1) ტოლობის სახით.

$$R = C + Y\Delta \quad (1)$$

ამ ტოლობაში  $C$  ტექნოლოგიური სისტემის ჩსიდ (ჩარხი-სამარჯვებ-იარაღი-დეტალი), ე.წ. სტატიკური გაწყობის ზომაა, ხოლო  $Y\Delta$  ჭრის ძალის  $P$ , ან მისი სამივე  $P_x$ ,  $P_y$ ,  $P_z$  მდგენელის ერთდროული მოქმედებით, ძალების მოდების წერტილში წარმოქმნილი იარაღისა და ნამზადის ჯამური დრეკადი გადაადგილება დასამუშავებელი ზედაპირის ნორმალური  $Y$  დერძის მიმართულებაზე.



ნახ.1. ჭრის პროცესის კოორდინატა სტატიკური სისტემა (xyz), მჭრელ იარაღზე მოქმედი ძალები და მიმდინარე ზომის  $R$  წარმოქმნის სქემა (სქემაზე არ არის აღნიშნული ნამზადზე მოქმედი  $P_x, P_y, P_z$ -ის ტოლი და საწინააღმდეგო მიმართულების ძალები).

დეტალეობას მაღალმწარმოებლური რეჟიმებით, მაგალითად, ჩარხის ვიბრომდგრადობის და სიმძლავრის მიხედვით დასაშვები მაქსიმალური ჭრის სიღრმით დამუშავების პროცესს თან ახლავს დრეკადი გადაადგილებისას  $Y_{\Delta}$ , როგორც ცვლილების სიჩქარის, ისე სიდიდის მიხედვით სხვა ცვლილებებთან შედარებით დიდ ფარგლებში ცვალებადი შემთხვევითი ხასიათის გადახრები.

ამიტომ, დამუშავების პროცესში შემდეგი პირობების დაცვით

$$Y_{\Delta} \rightarrow 0 \quad (2)$$

$$Y_{\Delta} \rightarrow \text{const} \quad (3)$$

არა მარტო უშუალოდ იზრდება მიმდინარე ზომის  $R$  სიზუსტე, არამედ არსებითად მარტივდება დეტალეობის პარტიის დამუშავების პროცესში ტემპერატურული დეფორმაციებით და იარაღის გაცვეთით გამოწვეული ჯამური სისტემატიური ცდომილების კონტროლი და კომპენსაციაც სტატიკური გაწყობის ზომის სათანადო კორექტირებით.

დამუშავების შედეგად მიღწეული მიმდინარე ზომის ფაქტიური სიზუსტის გაანგარიშებით განსაზღვრისა და (2) ან (3) პირობის დაცვის დიდმა პრაქტიკულმა მნიშვნელობამ განაპირობა ჩარხების (ტერმინი “ჩარხის” ქვეშ იგულისხმება ტექნოლოგიური სისტემა – ჩსიდ) სიხისტის პრობლემისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი გამოკვლევები და მონოგრაფიები [1,2,3,4,5,6,7,8,9,10 და ა.შ.].

შედარებით ადრე შესრულებულ გამოკვლევებში და კერძოდ ნაშრომში [1] ფაქტიურად გაკეთებულია დაშვება, რომ ჭრის ძალის მოდების წერტილში და ნამზადის დასამუშავებელი ზედაპირის ნორმალური მიმართულებით ჩარხის დრეკადი სისტემა შეიძლება განხილული იქნეს როგორც ერთი თავისუფლების ხარისხის მქონე წრფივი დრეკადი სისტემა. აქედან გამომდინარე, იგივე ნაშრომში ჩარხის სიხისტის გაზომვისა და შეფასებისათვის არსებითად გამოყენებული და რეკომენდირებულია შემდეგი მეთოდი:

დინამომეტრული მოწყობილობის საშუალებით ჩარხზე დაყენებული ნამზადიც და იარაღიც იტვირთება დასამუშავებელი ზედაპირის ნორმალური მიმართულებით, ანუ  $Y$  ღერძის (ნახ.1) გასწვრივ მოქმედი მხოლოდ  $PY$  ძალით; იზომება იგივე მიმართულებით წარმოქმნილი იარაღის ნამზადის მიმართ დრეკადი გადაადგილება  $y$ ; ძალის წინასწარ შერჩეული დიაპაზონიდან ( $P = P_{\min} \div P_{\max}$ ) სხვადასხვა სიდიდის ძალით დატვირთვა (განტვირთვა) და შესაბამისი დრეკადი გადაადგილების  $y$  გაზომვა მეორდება იმდენჯერ, რომ გაზომვის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით პრაქტიკულად საკმარისი სიზუსტით აგებული იქნეს ფუნქციის  $y = f(PY)$  გრაფიკი; ძალის სიდიდის მთელ ან ორ დიაპაზონში ( $PY = 0 \div P_1$ ;  $PY = P_1 \div P_{\max}$ ) ფუნქციის  $y = f(PY)$  გაწვრივების შემდეგ განისაზღვრება ჩარხის დრეკადი სისტემის სიხისტის

დამახასიათებელი მუდმივი რიცხვი  $j$ , ანუ სიხისტის კოეფიციენტი ფარდობით

$$j = \Delta Py / \Delta y \quad (4)$$

სადაც  $\Delta Py$  და  $\Delta y$  – ფუნქციის  $y = f(Py)$  გაწვრთვებულ ნაწილში ძალის  $Py$  და დრეკადი გადაადგილების  $y$  ნაზრდება შესაბამისად. ზოგჯერ მოხერხებულია განისაზღვროს სიხისტის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდე  $k = 1/j = \Delta y / \Delta Py$ , რომელსაც იგივე დრეკადი სისტემის დამყოლობის კოეფიციენტს უწოდებენ.

პროფ. ა.პ.სოკოლოვსკი თავის ექსპერიმენტალურ გამოკვლევებსა და მონოგრაფიაში [3] მივიდა დასკვნამდე, რომ უშუალოდ ნამზადის დამუშავების პროცესში მოქმედი ჩარხის დრეკადი სისტემის სიხისტის და დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  განსაზღვრისათვის გატვალისწინებული უნდა იქნას ჭრის ძალის სამივე მდგენელის ( $P_x, P_y, P_z$ ) გავლენა. მანვე არსებითად გამოთქვა მოსაზრება, რომ ჭრის ძალის სამივე მდგენელით დატვირთვისას ჩარხის დრეკადი თვისებები შეიძლება დახასიათდეს სიხისტის ნორმალური ( $j_{yy}$ ) და ორთოგონალური ( $j_{yz}, j_{yx}$ ) კოეფიციენტებით

$$j_{yy} = Py / y_{Py}; \quad j_{yz} = Pz / y_{Pz}; \quad j_{yx} = Px / y_{Px} \quad (5)$$

სადაც  $y_{Py}, y_{Pz}, y_{Px}$  – ჯამური დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  შემდგენი ნაწილებია ( $Y_{\Delta} = y_{Py} + y_{Pz} + y_{Px}$ ), რომლებიც წარმოიქმნებიან შესაბამისად  $P_x, P_y, P_z$  ძალების გავლენით ჩარხზე მათი ერთდროული მოქმედების პროცესში (ნახ.1).

სიხისტის კოეფიციენტებთან მდგომი ინდექსებიდან პირველი მიუთითებს ღერძს, რა მიმართულებითაც იზომება დრეკადი გადაადგილება, ხოლო მეორე ინდექსი – ჭრის ძალის იმ მდგენელის მიმართულებას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სიხისტის შესაბამისი კოეფიციენტის მნიშვნელობა.

მაგრამ ა.პ.სოკოლოვსკიმ, შეიძლება ითქვას, არასაკმარისი დასაბუთებით უარყო ჩარხის სიხისტის ზემოთნახსენები კოეფიციენტების ცნებათა შემოტანა და კვლავ მიზანშეწონილად და შესაძლებლად მიიჩნია ჭრის ძალის მოდების წერტილში ჩარხის სიხისტის ერთი რიცხვითი სიდიდით დახასიათება. მანვე წამოაყენა იდეა ჩარხის სიხისტის დამახასიათებელი ეს ერთი რიცხვითი სიდიდე განისაზღვროს: ჭრის ძალის სამივე მდგენელით ერთდროული დატვირთვით, მხოლოდ ჯამური დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$ -ს გაზომვით და შემდეგი ფარდობის გამოთვლით:

$$j_c = Py / Y_{\Delta} \quad (6)$$

რაც შედარებით უფრო დეტალური ფორმით შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახითაც:

$$j_c = Py / (y_{Py} + y_{Pz} + y_{Px}) \quad (7)$$

ჩარხის სიხისტის გაზომვისა და შეფასების ა.პ.სოკოლოვსკის მიერ წამოყენებული მეთოდის არსიდან ჩანს, რომ ჩარხის სულ მცირე სამი (როგორც ეს ნაჩვენებია ნაშრომებში [7,8,10], სინამდვილეში გაცილებით მეტი) თავისუფლების ხარისხის მქონე დრეკადი სისტემა იცვლება ერთი თავისუფლების ხარისხის მქონე დრეკადი სისტემით. თუ რა შედეგები მოიტანა ასეთმა შეცვლამ, შეგვიძლია დავადგინოთ არც თუ რთული ანალიზით. დავუშვათ, რომ ჩარხს გააჩნია იდეალურად წრფივი სივრცითი სისტემა და მისი სიხისტის ნორმალურ ( $J_{yy}$ ) და ორთოგონალური ( $J_{yz}, J_{yx}$ ) კოეფიციენტები ჭრის ძალის მოდების წერტილში ჩარხის დრეკადი თვისებების ამსახველი არსებითად მუდმივი რიცხვითი სიდიდეებია. თუ ასეთი პირობებისათვის მე-6 ან მე-7 გამოსახულებაში დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  შემდეგ ნაწილებს ( $Y_{Py}, Y_{Pz}, Y_{Px}$ ) მე-5 ფარდობათა გამოყენებით გამოვსახავთ ჩარხის სიხისტის ნორმალური და ორთოგონალური კოეფიციენტების საშუალებით, მიღებული გამოსახულების მცირეოდენი გარდაქმნით მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას

$$J_c = (1/J_{yy} + Pz/Py J_{yz} + Px/Py J_{yx})^{-1} \quad (8)$$

ამ გამოსახულებაში სიხისტის ყველა კოეფიციენტი შეეცვალოთ დამყოლოების კოეფიციენტებით :

$$K_c = 1/J_c, \quad K_{yy} = 1/J_{yy}, \quad K_{yz} = 1/J_{yz}, \quad K_{yx} = 1/J_{yx}$$

და მივიღებთ უფრო მარტივ გამოსახულებას

$$K_c = K_{yy} + k_{yz} P_z / P_y + K_{yx} P_x / P_y \quad (9)$$

მე-8 და მე-9 დამოკიდებულებებიდან აშკარად ჩანს, რომ მაშინაც კი როცა ნორმალური და ორთოგონალური სიხისტის (დამყოლოების) კოეფიციენტები მუდმივი რიცხვითი სიდიდეებია, მე-6 ფარდობით განსაზღვრული, ა.პ.სოკოლოვსკის მიერ ჩარხის სიხისტედ (ხოლო სხვა ავტორების ნაშრომებში [8,11] ტექნოლოგიურ სიხისტედ) წოდებული რიცხვითი სიდიდე არსებითად არის დამოკიდებული ჭრის ძალის ვექტორის მიმართულებაზე.

თეორიული ანალიზით მიღებულ ამ დასკვნას ადასტურებს მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტალური გამოკვლევები [1,2,3,7], რომელთა მიხედვით მე-6 ფარდობით გამოთვლილი რიცხვითი სიდიდე ჭრის ძალის ვექტორის მიმართულების პრაქტიკულად შესაძლო ფარგლებში ცვლილებისას დებულობს თვისებრივად განსხვავებულ მნიშვნელობებს – დადებით, უარყოფით და პრაქტიკულად უსასრულო მნიშვნელობასაც. აქედან კი თავის მხრივ ცხადი ხდება, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც უცნობია ჩარხის სიხისტის ნორმალური და ორთოგონალური კოეფიციენტების მნიშვნელობები, მე-6 ფარდობის მიხედვით ჩარხის სიხისტის დასადგენად საჭიროა ჭრის ძალის სამივე მდგენელით ერთდროული დატვირთვისას და ჯამური დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$

გაზომვის მიზნით იმდენი ექსპერიმენტის ჩატარება და ჩარხის სიხისტის იმდენი მახასიათებლის განსაზღვრა , რამდენი მიმართულებაც შეიძლება მიიღოს ჭრის ძალის ვექტორმა მოცემულ ჩარხზე დეტალების დამუშავების პროცესში. ქსპერიმენტების და ჩარხის სიხისტის მახასიათებლების ეს რაოდენობა რომ თეორიულად უსასრულოა და პრაქტიკულად კი საკმაოდ დიდი, ვფიქრობთ არ საჭიროებს დასაბუთებას.

მაშასადამე, ჭრის ძალების მოდების წერტილში ჩარხის სიხისტის ნორმალური და ორთოგონალური კოეფიციენტების გამოყენებლობამ და სამი თავისუფლების ხარისხის მქონე დრეკადი სისტემის ერთი თავისუფლების ხარისხის მქონე დრეკადი სისტემით შეცვლამ, ჩარხის სიხისტის მახასიათებელთა რაოდენობა სინამდვილეში კი არ შეამცირა, არამედ პირიქით გაზარდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფაქტიურად სწორედ აღნიშნულ ობიექტურ გარემოებათა გამო კვლავ გაგრძელდა კვლევა-ძიება ჭრის ძალის მოდების წერტილში ჩარხის სიხისტის მახასიათებლის განსაზღვრის თეორიული და მეთოდური საფუძვლების შესამუშავებლად.

60-იან წლებში, თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა გამოკვლევები [5,6,7,8,9], რომლებშიც გადმოცემულია ჭრის ძალის მოდების წერტილში ჩარხის სიხისტის მახასიათებელთა განსაზღვრის ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული მიდგომები. ამასთანავე, ყველა მათგანში,პირდაპირ თუ არაპირდაპირ,გაკეთებულია დაშვება, რომ ჭრის ძალის მოდების წერტილში ჩარხის დრეკადი სისტემა(ან მისი თეორიული მოდელი) განხილული შეიძლება იქნეს, როგორც ორი, სამი ან მეტი თავისუფლების ხარისხის მქონე წრფივი დრეკადი სისტემა. ალიზი ცხადყოფს, რომ დასახელებული გამოკვლევებიდან, წინამდებარე ნაშრომში დასმული ამოცანიდან გამომდინარე, ინტერესს წარმოადგენს “მოსსტანკინში” პროფ. ბ.ს.ბალაკშინის ხელმძღვანელობით შესრულებული , დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  მართვის პრობლემისადმი მიძღვნილი გამოკვლევები [6,9], რომლებშიაც ნათლად არის გამოკვეთილი ჭრის ძალის მოდების წერტილში ჩარხის დამყოლობის ნორმალური ( $K_{yy}$ ) და ორთოგონალური ( $K_{yz}, K_{yx}$ ) კოეფიციენტების ცნებათა შემოტანა და გამოყენება. ამ კოეფიციენტების საშუალებით დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  ჭრის ძალის სამივე მდგენელისაგან დამოკიდებულება წარმოდგენილია შემდეგი გამოსახულებით:

$$Y_{\Delta} = K_{yy} Py + K_{yz} Pz + K_{yx} Px \quad (10)$$


დამყოლობის კოეფიციენტებისათვის ხშირად იყენებენ უფრო მარტივ აღნიშვნებს ( $K_{yy} = a, K_{yz} = b, K_{yx} = c$ ) და მე-10 გამოსახულებას წერენ შემდეგი სახითაც

$$Y_{\Delta} = aPy + bPz + cPx \quad (11)$$

მე-10 ან მე-11 გამოსახულებაში დამყოლობის კოეფიციენტების  $a, b, c$  განსაზღვრისათვის იყენებენ არაპირდაპირ, არსებითად ექსპერიმენტულ-საანგარიშო მეთოდს, რომლის ძირითადი შინაარსი მდგომარეობს

შემდეგში:

მოცემულ ჩარხზე ირჩევენ დამუშავების რეჟიმების  $(t, s, v)$  და იარაღის გეომეტრიული პარამეტრების  $(\varphi, \gamma, r, \dots)$  ტიპურ, დაახლოებით  $n=10 \div 12$  ერთობლივობას. შერჩეულ პირობებში ერთი გავლით ამუშავებენ საფეხურიან ნამზადებს (იხ.ნახ.2) და ზომავენ დამუშავებულ ზედაპირზე ფიქსირებული დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  მნიშვნელობას. დამუშავების იგივე, პრაქტიკულად იდენტურ პირობებში, სამკომპონენტიანი დინამომეტრის გამოყენებით ზომავენ ჭრის ძალის სამივე  $P_x, P_y, P_z$  მდგენელს.



ნახ.2 ჩარხის ჭრის პროცესით დატვირთვისას დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  დამუშავებულ ზედაპირზე ფიქსირების სქემა აღნიშნულ ექსპერიმენტებსა და გაზომვებს ასრულებენ დამუშავების ყველა წინასწარ შერჩეულ ტიპურ პირობებში და მიღებული მონაცემების გამოყენებით ადგენენ  $n$  რაოდენობის, ე.წ. პირობით განტოლებათა სისტემას (12)

$$\begin{aligned} Y_{\Delta 1} &= aP_{y1} + bP_{z1} + cP_{x1} \\ Y_{\Delta 1} &= aP_{y2} + bP_{z2} + cP_{x2} \end{aligned} \quad (12)$$

$$Y_{\Delta 1} = aP_{yn} + bP_{zn} + cP_{xn}$$

სადაც  $a, b$  და  $c$  ჭრის ძალის მოდების წერტილში ჩარხის დამყოლობის კოეფიციენტების უცნობი რიცხვითი სიდიდეებია.

პირობით განტოლებათა სისტემას (12), უმცირეს კვადრატთა მეთოდის შესაბამისად გარდაქმნიან საშუალებიან, სამგანტოლებიან ე.წ. ნორმალურ განტოლებათა სისტემად, რომელსაც განსახილველ შემთხვევაში აქვს შემდეგი სახე:



$$\begin{aligned}
a \sum_{i=1}^n P_y^2 + b \sum_{i=1}^n P_{y_i} \cdot P_{z_i} + c \sum_{i=1}^n P_x \cdot P_{y_i} &= \sum_{i=1}^n Y_{\Delta_i} \cdot P_{y_i} \\
a \sum_{i=1}^n P_{y_i} \cdot P_{z_i} + b \sum_{i=1}^n P_z^2 + c \sum_{i=1}^n P_{x_i} \cdot P_{z_i} &= \sum_{i=1}^n Y_{\Delta_i} \cdot P_{z_i} \quad (13) \\
a \sum_{i=1}^n P_{x_i} \cdot P_{y_i} + b \sum_{i=1}^n P_{x_i} \cdot P_{z_i} + c \sum_{i=1}^n P_x^2 &= \sum_{i=1}^n Y_{\Delta_i} \cdot P_{x_i}
\end{aligned}$$

განტოლებათა სისტემის (13) ამოხსნით ღებულობენ ჭრის პროცესით ანუ ჭრის ძალის სამივე მდგენელით ერთდროული დატვირთვისას ჭრის ძალის მოდების წერტილში ჩარხის დამყოლობის ნორმალურ (a) და ორთოგონალურ (b,c) კოეფიციენტებს.

ნაშრომებში [6,9], სადაც წამოყენებული და (ან) გამოყენებულია დამყოლობის a,b და c კოეფიციენტების განსაზღვრის ზემოთ აღწერილი მეთოდი, არსებითად ღიად, ანუ გადაწყვეტის გარეშეა დატოვილი შემდეგი ამოცანა:

ექსპერიმენტებისა და გაზომვათა შერჩეულ პირობებში და ნორმალურ განტოლებათა სისტემის (13) ამოხსნის შედეგად როგორი სიზუსტით შეიძლება იქნენ მიღებულნი დამყოლობის a,b და c კოეფიციენტები, ანდა დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  და ჭრის ძალების ( $P_x, P_y, P_z$ ) გაზომვის როგორი სიზუსტეა საჭირო იმისათვის, რომ განტოლებათა სისტემაში (13) ამოხსნით მიღებული დამყოლობის კოეფიციენტები შეიცავდნენ პრაქტიკულად დასაშვებ ცდომილებებს.

ამ ამოცანის გადაწყვეტის გარეშე ცხადია შეუძლებელია დამყოლობის კოეფიციენტების აღწერილი მეთოდის საფუძვლად დადებული დაშვების (არსებითად ჰიპოტეზის) შემოწმებაც იმის შესახებ, რომ შესრულებულ ექსპერიმენტებში და გატოლებათა სისტემაში (13) ასახული ჭრის

ძალის ვექტორის  $P = \sqrt{P_x^2 + P_y^2 + P_z^2}$  მიმართულების ცვლილების მთელ დიაპაზონში დამყოლობის კოეფიციენტები (a,b,c) მუდმივი რიცხვითი სიდიდეებია და მასშალად, ჩარხის შესაბამისი დრეკადი სისტემა წრფივი.

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით ვიყენებთ ცხრილ 1-ში ასახული ექსპერიმენტების მონაცემებს. მაგრამ, იმის გამო, რომ შესაბამის ნაშრომში [9] (საიდანაც ნახსენებია ცხრილ 1-ის მონაცემები) ჭრის ძალის მდგენელები ( $P_x, P_y, P_z$ ) და დრეკადი გადაადგილების ( $Y_{\Delta}$ ) გაზომვათა ფაქტიურ ცდომილებების შესახებ საიმედო და კონკრეტული მონაცემები არსებითად არაფერია მოტანილი, დამყოლობის კოეფიციენტების (a,b,c) და მათი სიზუსტის გამოკვლევისათვის ვიყენებთ მანქანური ინიტაციის მეთოდს. ამ მეთოდის საკვანძო უპირველეს ამოცანას

წარმოადგენს ე.წ. საკვლევი ობიექტის საწყისი მათემატიკური მოდელის ფორმირება. განსახილველ შემთხვევაში მის ქვეშ იგულისხმება ჭრის ძალის მოდების წერტილში დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  ჭრის ძალის მდგენელებისაგან დამოკიდებულება (11), რომელშიც დამყოლობის  $a, b$  და  $c$  კოეფიციენტები დადგენილი შეიძლება იყოს თუნდაც პირველი მიახლოებით (თუმცა ცხადია, რომ სასურველია ისინი განსაზღვრული იქნენ პრაქტიკულად რამდენადაც შესაძლებელია მაღალი სიზუსტით).  
ცხრილი 1

დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  ჭრის ძალის  $P_x, P_y, P_z$  მდგენელებისაგან დამოკიდებულების ექსპერიმენტალური გამოკვლევის შედეგები [9]  
 $\varphi=30^\circ; \gamma=10^\circ; \alpha=12^\circ; \lambda=0^\circ; r=1\text{მმ}$        $\varphi=45^\circ; \gamma=8^\circ; \alpha=12^\circ; \lambda=8^\circ; r=1\text{მმ}$

ა)

ჭრის N	Px	Py	Pz	$Y_{\Delta}$
	კგ.	კგ.	კგ.	მკმ
1	89	217	295	97
2	86	205	279	89
3	83	197	270	82
4	78	181	266	69
5	71	165	258	67
6	61	142	230	44
7	53	124	198	34
8	47	115	200	42
9	41	108	195	41
10	37	106	192	42

ბ)

ჭრის N	Px	Py	Pz	$Y_{\Delta}$
	კგ.	კგ.	კგ.	მკმ
1	73	113	228	20
2	71	108	218	16
3	72	111	222	17
4	70	108	214	17
5	68	102	208	15
6	61	82	193	15
7	54	85	175	15
8	49	87	185	22
9	42	81	183	20
10	35	81	185	1

$\varphi=90^\circ; \gamma=0^\circ; \alpha=0^\circ; \lambda=8^\circ; r=1\text{მმ}$

გ)

ჭრის N	Px	Py	Pz	$Y_{\Delta}$
	კგ.	კგ.	კგ.	მკმ
1	170	75	263	-22
2	161	72	240	-18
3	154	73	259	-21
4	148	69	248	-21
5	140	67	240	-17
6	134	81	238	-6
7	122	75	230	-10
8	118	89	219	8
9	104	83	210	1
10	102	92	226	12
11	101	105	222	25
12	75	117	215	40

$\varphi=110^\circ; \alpha=8^\circ; \gamma=0^\circ; \lambda=0^\circ; r=2\text{მმ}$

დ)

ჭრის N	Px	Py	Pz	$Y_{\Delta}$
	კგ.	კგ.	კგ.	მკმ
1	71	52	192	-5
2	63	57	186	5
3	66	59	190	4
4	59	57	184	5
5	56	55	180	10
6	59	68	183	10
7	57	66	180	5
8	56	72	172	16
9	46	68	162	15
10	42	79	153	21
11	36	86	146	28
12	26	100	135	40

გამოკვლევის ყველა სერიაში (ა, ბ, გ, დ) გამოყენებულია: ჩარხი-სასარატო 1620; ნამზადი  $\emptyset$  (50-70) x 250 ; ფლ.45; იარაღის მჭრელი ნაწილის მასალა T15K6 ; ყველა სერიაში ცდის რიგითი ნომრის მიხედვით ჭრის სიღრმე მცირდება  $t=4.8$  მმ-დან  $t=1.34$  მმ-მდე, მიწოდება იზრდება  $S=0.2$ მმ/ბრ-დან  $S=0.71$  მმ/ბრ-მდე ; ჭრის სიჩქარე  $V=90-130$  მ/წთ; (იარაღის გეომეტრიული პარამეტრები იხ.ცხრილის ა, ბ, გ, დ ნაწილები)

ნაშრომიდან [9] ნასესხები ექსპერიმენტალური მონაცემების(იხ. ცხრილი 1) გამოყენებით მრავალრიცხოვანმა გამოთვლებმა და ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ნორმალური განტოლებათა სისტემიდან (13) პრაქტიკულად საკმარისი სიზუსტის ამონახსნების მისაღებად შესაბამისი პირობით განტოლებათა სისტემა (12) შედგენილი უნდა იქნეს რომ ჭრის ძალის ვექტორის მიმართულების რაც შეიძლება ფართო დიაპაზონში ცვლილების პირობებისათვის. მაგრამ, თუ ვაკოთვალისწინებთ, ჭრის ძალის მიმართულების ცვლილების დიაპაზონის მნიშვნელოვან გაფართოებას თან სდევს ჩარხის დრეკადი სისტემის ელემენტების დატვირთვის გადანაწილება და ზემოთაღნიშნული დაშვების (დამყოლობის კოეფიციენტების ჭრის ძალის მიმართულებისაგან დამოუკიდებლობის) დაუცველობის შესაძლებლობის ზრდა, ჭრის ძალის ვექტორის მიმართულების ცვლილების დიაპაზონი არ შეიძლება აღემატებოდეს  $15^{\circ}-20^{\circ}$ -ის ფარგლებს.

გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ აღნიშნულ მოთხოვნებს მთლიანად აკმაყოფილებს ცხრილი 1-ის (გ) სერიის ექსპერიმენტების მონაცემები და აგრეთვე (ა)და (ბ) სერიის ექსპერიმენტების მონაცემებიც, თუ კი გავერთიანებთ პირობით განტოლებათა ერთი სისტემის შესადგენად. ამიტომ, ცხრილი 1-ის მონაცემების გამოყენებით პირობითი (12) და ნორმალური (13) განტოლებათა სისტემები შევადგინეთ ორი შემთხვევისა და პირობებისათვის, კერძოდ (1), როდესაც ცხრილი 1-ის ექსპერიმენტების სერიების მიხედვით ძირითადი ცვლადი პარამეტრი-იარაღის მთავარი კუთხე გეგმაში იცვლება  $\phi=30^{\circ}-45^{\circ}$ -ს ფარგლებში და (2), როდესაც იგივე კუთხე ტოლია  $\phi=90^{\circ}$ .

ექსპერიმენტების აღნიშნული (1) და (2) პირობებისათვის შედგენილი ნორმალურ განტოლებათა სისტემების ამოხსნის შედეგად მიღებულმა დამყოლობის  $a, b$  და  $c$  კოეფიციენტებმა მიიღეს ცხრილი 2-ის მე-3 სვეტში ჩაწერილი მნიშვნელობები, ხოლო საძიებელმა საწყისმა მათემატიკურმა მოდელებმა, იგივე (პირველი და მეორე) პირობებისათვის შესაბამისად მიიღო (14) და (15) გამოსახლებათა სახე:

$$Y_{\Delta} = 0.87 P_Y - 0.15 P_Z - 0.6 P_X \quad (14)$$

$$Y_{\Delta} = 0.89 P_Y - 0.26 P_Z - 0.12 P_X \quad (15)$$

საწყისი მათემატიკური მოდელის ფორმირების შემდეგ, მექანიკური იმიტაციის მეთოდით კვლევის შემდეგი ეტაპია დრეკადი გადაადგილების ( $Y_{\Delta}$ ) და ჭრის ძალების ( $P_X, P_Y, P_Z$ ) გაზომვის ცდომილებათა პრაქტიკულად შესაძლო ზღვრულ მნიშვნელობათა სიმრავლის შერჩევა. ეს სიმრავლე მოტანილია ცხრილი 2-ის ზედა ნაწილში. მოკლედ იმის შესახებ, თუ რა მოსაზრებები უდევს საფუძვლად გაზომვის ზღვრულ ცდომილებათა შერჩეულ და ცხრილ 2-ში მოყვანილ მნიშვნელობებს. ცნობილია, რომ საკომპონენტური  $\dot{O}\ddot{A}$   $\dot{I}$  ტიპის დინამომეტრების საშუალებით (რომელიც გამოყენებული იქნა ცხრილ 1-ში ასახულ ექსპერიმენტებში  $P_X, P_Y, P_Z$  ძალების გასაზომად) ჭრის ძალების გაზომვის სიზუსტე არ აღემატება 3%-ს, თანაც ეს ძირითადად ეხება ჭრის ძალის  $P_Z$  მდგენელის გაზომვას.  $P_X$  და  $P_Y$  ძალების გაზომვისას კი მოსალოდნელია გაზომვის მნიშვნელოვნად (დაახლოებით 2-ჯერ) უფრო დაბალი სიზუსტე. ამიტომ  $P_Z$  ძალის ზღვრულ ცდომილებებზე შევირჩიეთ 3 და 5%, ხოლო  $P_X$  და  $P_Y$  ძალების ზღვრულ ცდომილებებზე 3, 5 და 10%.

საერთოდ ცნობილ სიძნელებებთან არის დაკავშირებული დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  საჭირო სიზუსტით გაზომვა არა მარტო უშუალოდ დამუშავების პროცესში, არამედ მისი დამუშავებულ ზედაპირზე ფიქსირების მეთოდის (იხ.ნახ 2) შემთხვევაშიც რომელიც გამოყენებულია ცხრილ 1-ში ასახულ ექსპერიმენტებში. ასეთ შემთხვევაში  $Y_{\Delta}$ -ს გაზომვის სიზუსტეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს: დამუშავებული ზედაპირის ხორკლიანობა და მისი არასტაბილურობა ზედაპირის, როგორც გრძივი, ისე განივ კვეთებში; ჩარხის დრეკად სისტემაში ჰისტერეზისული მოვლენის და დამუშავებული ზედაპირის განივ კვეთში  $Y_{\Delta}$ -ს არასტაბილურობა მაშინაც კი, როდესაც ჭრის სიღრმე და დამუშავების რეჟიმის სხვა პარამეტრებიც პრაქტიკულად არ იცვლებიან;  $Y_{\Delta}$ -ს გაზომვისათვის გამოყენებული მზომი იარაღის (კერძოდ ცხრილ 1-ში ასახულ ექსპერიმენტების გამოყენებული 2მკმ-ნი დანაყოფის ფასის მქონე ბერკეტული კავის) სიზუსტე და სხვ. ღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით  $Y_{\Delta}$ -ს გაზომვის ზღვრულ ცდომილებებზე შევირჩიეთ 5 და 10%.

ნახსენები ოთხივე სიდიდის ( $P_X, P_Y, P_Z, Y_{\Delta}$ ) გაზომვის ცდომილებები შემთხვევითი ხასიათის ცდომილებებია და შეუძლიათ მიიღონ როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ნიშანი. ჩვენს გამოკვლევაში (იხ.ცხრილი 2) ამ ნიშანთა ცვლილების 24 ვარიანტია შერჩეული. იმიტაციური კვლევის ყველა ცალკეულ “ექსპერიმენტში” ნახსენები ოთხივე სიდიდის %-ში გამოსახული გადახრები ჩაწერილია ცხრილი 2-ის ზედა ნაწილის სვეტებში.

გაზომვის აღნისნულ ცლომილებათა გათვალისწინებით და საწყისი მათემატიკური მოდელების (იხ.მე-14 და მე-15 გამოსახულებები) გამოყენები ზემოთნახსენები პირველი (როდესაც  $\varphi=30^{\circ}\div 45^{\circ}$ ) და მეორე (როდესაც  $\varphi=90^{\circ}$ ) პირობებისათვის: შევადგინოთ პირობითი განტოლებათა სისტემის 24 - 24 (სულ 48) ვარიანტი; სათანადო პროგრამების შერჩევითა და კომპიუტერის გამოყენებით შევასრულოთ პირობით განტოლებათა სისტემის ყველა ცალკეული ვარიანტის საშუალებით, სამგანტოლებიან ნორმალურ განტოლებათა სისტემად (13) გარდაქმნა და მათი ამოხსნა დამყოლობის  $a, b$ , და  $c$  კოეფიციენტების მნიშვნელობათა შესაბამისი სიმრავლის დადგენის მიზნით.

ასეთნაირად, არსებითად ჩარხის დრეკადი სისტემის საწყის მათემატიკურ მოდელებზე „ექსპერიმენტების“ (იმიტაციური კვლევის) შედეგად მივიღეთ დამყოლობის  $a, b$ , და  $c$  კოეფიციენტების მნიშვნელობათა სიმრავლე, „ექსპერიმენტში“ დაშვებული (სინამდვილეში შერჩეული) ჭრის  $p_x, p_y, p_z$  ძალების და დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  გაზომვების ზღვრული ცლომილებებისაგან დამოკიდებულებით. დამყოლობის კოეფიციენტების სწორედ ამ სიმრავლიდან ამორჩეული ზღვრული (მინიმალური და მაქსიმალური) მნიშვნელობებია ჩაწერილი ცხრილი 2-ის მე-4, მე-5, და მე-6 სვეტებში. მათთან ერთად ფრჩხილებში მითითებულა, თუ %-ში რა ნაწილს შეადგენენ შესაბამისი დამყოლობის კოეფიციენტების გაბნევის ველები  $\omega_a, \omega_b, \omega_c$  (ანუ დამყოლობის კოეფიციენტების მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობათა სხვაობები) საწყისი მოდელისათვის დადგენილი იგივე კოეფიციენტებთან (იხ. ცხრილი 2-ის მე-3 სვეტი) შედარებით.

ცხრილ 2-ში ასახული გამოკვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ შემდეგი დასკვნები და (ან) მოსაზრებები:

1. 1620 მოდელის სახარატო ჩარხზე ჭრის ძალის მოდების წერტილში და დამუშავებული ზედაპირის ნორმალური მიმართულებით დამყოლობის ერთის მხრივ ნორმალურ ( $\hat{a}$ ) და მეორეს მხრივ ორთოგონალურ კოეფიციენტებს ( $b, c$ ) აქვთ ერთმანეთის საწინააღმდეგო ნიშანი. დამყოლობის ორთოგონალური კოეფიციენტების უარყოფითი ნიშანი იმაზე კი არ მიუთითებს, რომ ჩარხის დრეკადი სისტემის დამყოლობის თვისებაა უარყოფითი, არამედ იმაზე, რომ ერთის მხრივ  $p_y$  ძალით და მეორეს მხრივ  $p_x$  და  $p_z$  ძალებით სხვადასხვა სიბრტყეში და მიმართულებით იტვირთებიან ჩარხის დრეკადი სისტემის სხვადასხვა ელემენტები და ძალების მოდების წერტილში შეუძლიათ გამოიწვიონ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულების დრეკადი გადაადგილებები.
2. ჭრის  $p_x, p_y, p_z$  ძალების და დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  გაზომვების, შესაბამისად 3 და 5 % ის ცლომილების შემთხვევაში,



დამყოლობის კოეფიციენტების მნიშვნელობათა გაბნევის ველები არ აღემატებიან ჩარხის დრეკადი სისტემის საწყისი მოდელისათვის დამყოლობის კოეფიციენტების მე-5-დ ნაწილს (ანუ 20%-ს), ხოლო ძალების და დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  გაზომვების შესაბამისად 5 და 10%-ის ცდომილებების შემთხვევაში დამყოლობის კოეფიციენტების გაბნევის ველები შეადგენენ საწყისი მოდელის დამყოლობის კოეფიციენტების არა უმეტეს მესამედ ნაწილს (ანუ 33%-ს).

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამყოლობის **a, b**, და **C** კოეფიციენტების განსაზღვრის ზემოთ გადმოცემული ექსპერიმენტალურ-საანგარიშო მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ჭრის  $p_x, p_y, p_z$  ძალების გაზომვის ცდომილებები არ უნდა აღემატებოდეს  $\pm 3\%$ -ს, ხოლო დრეკადი გადაადგილების  $Y_{\Delta}$  გაზომვის ცდომილებები  $\pm 5\%$ -ს.

დამყოლობის კოეფიციენტების პირველი მიახლოებით ანუ საორიენტაციო მნიშვნელობათა განსაზღვრის შემთხვევებში კი ჭრის  $p_x, p_y, p_z$  ძალების და დრეკადი გადაადგილების გაზომვათა ცდომილებები შესაბამისად არ უნდა აღემატებოდეს  $\pm 5$  და  $\pm 10\%$ -ს.

3. იარაღის გეგმაში მთავარი კუთხის  $\varphi=30^{\circ}\pm 45^{\circ}$ -დან  $\varphi=90^{\circ}$ -მდე გაზრდით და ჭრის ძალის ვექტორის მიმართულების შესაბამის ფარგლებში ცვლილებით დამყოლობის ნორმალური კოეფიციენტი (**a**) პრაქტიკულად ინარჩუნებს მუდმივ ( $0,87-0,89$  მკმ/კგ.) მნიშვნელობას, მაშინ როდესაც დამყოლობის ორთოგონალური კოეფიციენტები მნიშვნელოვნად იცვლიან თავიანთ მნიშვნელობას.  $\varphi$  კუთხის აღნიშნულ ფარგლებში გაზრდით **b** კოეფიციენტით გამოხატული დრეკადი სისტემის დამყოლობა იზრდება თითქმის ორჯერ, ხოლო **C** კოეფიციენტით გამოხატული დამყოლობა მცირდება 5-ჯერ. საკითხი იმის შესახებ თუ რით არის გამოწვეული აღნიშნული მოვლენა სცილდება წინამდებარე ნაშრომის ჩარჩოებს, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ავღნიშნოთ, რომ ექსპერიმენტალურ-საანგარიშო მეთოდით დადგენილი აღნიშნული მოვლენა ხარისხობრივად არ არის მოკლებული ობიექტურ (კანონზომიერ) საფუძვლებს.

4. ჭრის ძალის მოდების წერტილში ჩარხის დრეკადი სისტემის დამყოლობის **a, b**, და **C** კოეფიციენტების ზემოთ გადმოცემული არაპირდაპირი, ანუ ექსპერიმენტალურ-საანგარიშო მეთოდით განსაზღვრა საკმაოდ შრომატევადია და საჭიროებს დროისა და საშუალებათა მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევასაც. ზემოთ გადმოცემული მოთხოვნების დაცვით იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს ძირითად ჩარხების საცდელი ნიმუშების დრეკად სისტემათა დამყოლობის კოეფიციენტების განსაზღვრისათვის. სერიულად





# საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტების სისტემური კვლევის საკითხისადმი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, CAD/CAM-ის ჯგუფი  
დოც. ალ.შარმაზანაშვილი

საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტება წარმოადგენს დაპროექტების ერთერთ ნაირსახეობას, რომელიც სრულდება წარმოების ტექნოლოგიური მომზადების სტადიაზე. ამასთან დაპროექტების ობიექტს თავდაპირველად წარმოადგენს ნაკეთობა, ანუ სრულდება საკონსტრუქტორო დაპროექტება, ხოლო შემდგომ ხორციელდება ტექნოლოგიური დაპროექტება, რომელზეც ობიექტი ამ ნაკეთობის დასამზადებლად აუცილებელი წარმოების ტექნოლოგიური პროცესია.

თვისებების დეტალიზაციის დონის მიხედვით, დაპროექტების ობიექტს შეესაბამება იერარქიულად დაქვემდებარებული, მრავალდონიანი აღწერა. ამიტომ საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტება ხორციელდება ეტაპობრივად, თითოეულ ეტაპზე საშუალოდ საპროექტო გადაწყვეტების ფორმირებით. ობიექტის აღწერის თითოეულ დონეს შეესაბამება დაპროექტების გარკვეული ეტაპი, რომელიც აერთიანებს გადაწყვეტილების მიღების მოდელებს, ამოცანის დასმასა და საპროექტო პროცედურებს, დაპროექტების ენებსა და დოკუმენტირების ფორმებს. სისტემური თვალსაზრისით დაპროექტების თითოეული ეტაპი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც სისტემა, რომელსაც გააჩნია შესასვლელი მონაცემები -  $\Phi$ , გამოსასვლელი მონაცემები და გადაწყვეტილების მიღების მოდელი - , რომლებსაც გადაჰყავთ შესასვლელი მონაცემები გამოსასვლელ მონაცემებში

შედაგად, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტების მთლიანი პროცესი ფორმალურად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი სისტემის სახით:

$$\left\{ \begin{array}{l} \psi_1 = [\{\Phi_1\}, \{\mathcal{G}_1\}, \{\mathcal{L}_1\}] \\ \dots \\ \psi_i = [\{\Phi_i\}, \{\mathcal{G}_i\}, \{\mathcal{L}_i\}] \end{array} \right.$$

სადაც,  $\Psi_1, \Psi_2, \dots, \Psi_i$  - პროექტირების ეტაპებია;  $I \dots i$  - პროექტირების ობიექტის აღწერის იერარქიული დონეებია.


ამ იერარქიაში ფორმალურად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რომ გამოსასვლელი პარამეტრები ( $i-1$ ) დონიდან, შედგენენ  $i$  - ეტაპის შესასვლელ პარამეტრებს, ვინაიდან ( $i-1$ ) დონის გამოსასვლელი პარამეტრები აღწერენ დაპროექტების ობიექტს დეტალიზაციის  $i$  დონიდან. მაგრამ, მიუხედავად ამისა  $\Phi_i = \vartheta_{i-1}$  წარმოადგენს კერძო შემთხვევას, რადგან დაპროექტების თითოეულ ეტაპზე არსებობენ ე.წ. „დამოუკიდებელი“ შესასვლელი მონაცემები  $\{\alpha_i\}$ , რომლებიც არ არიან დამოკიდებული დაპროექტების წინა ეტაპებზე (მაგ. საცნობარო-ნორმატიული ინფორმაცია, უკუკავშირის ან კონტროლის მონაცემები და სხვ.) ამასთან ეტაპის შესასვლელ მონაცემებად შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოსასვლელი მონაცემები არა მხოლოდ წინა ეტაპიდან, არამედ უფრო ადრინდელი ეტაპებიდანაც.

მაშასადამე, ზოგადად დაპროექტების  $i$  ეტაპის შესასვლელ მონაცემთა სიმრავლე შესაძლებელია ჩაწეროთ როგორც

$$\Phi_i = \{ (\vartheta_{i-1}, \vartheta_{i-2}, \dots, \vartheta_{i-3}, \alpha_i) \} .$$

დაპროექტების პროცესის სისტემატიზაციისადმი მიძღვნილია მრავალი ნაშრომი - ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია გ.ცვეტკოვის მიერ; ასევე ცნობილია კონცეფციები დამუშავებული გ.კომისაროვის, ნ.კაპუსტინის, თ.ლოლაძის, რ.გყიროვის, ტ.მოსტალიგინის, მ.გრუზინის მიერ. მაგრამ აღნიშნულ ნაშრომებში დაპროექტების პროცესი არ განიხილება ერთიანი, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტების პროცესის პოზიციიდან, შედეგად აღნიშნული ავტორების მიერ დამუშავებული სისტემატიზაციები განეკუთვნება ცალკეულ ეტაპებს და არ ითვალისწინებს გამჭოლი დაპროექტების მოთხოვნებს.

საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური პროცესის სისტემატიზაციისათვის თავდაპირველად ლოგიკურად გვაეერთიანოთ პარამეტრები, რომლებიც შედიან დაპროექტების თითოეული ეტაპის შესასვლელ და გამოსასვლელ მონაცემებში. ამასთან პარამეტრები, რომლებიც აღწერენ დასაპროექტებელი ობიექტის სხვადასხვა თვისებას დეტალიზაციის ერთსა და იმავე დონეზე, გვაეერთიანოთ ლოგიკური ფუნქციით - 'Λ' (ლოგიკური „და“), ხოლო პარამეტრები, რომლებიც აღწერენ ობიექტის ერთსა



ნახ.1 საკონსტრუქციო-ტექნოლოგიური დაპროექტების ეტაპები

და იგივე თვისებას დეტალიზაციის მიღებულ დონეზე, გავერთიანოთ ლოგიკური დიზიუნქციით - 'V' (ლოგიკური „ან“).

ობიექტის დაყოფისა და დეტალიზაციის დონეების გამოყოფისათვის აუცილებელია სისტემური თვისებების ქონა, რომლებიც საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტების შემთხვევაში გვაქვს ორი სახის:

- 1) თვისება, რომელიც ახასიათებს ნაკეთობას მთლიანი მექანიზმის (აწყობის) შემადგენლობაში
- 2) თვისება, რომელიც ახასიათებს საწყისი ნამზადის მზა ნაკეთობაში გადაყვანის პროცესს.

აღნიშნული თვისებებისა და ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის საფუძველზე გამოყოფილ იქნა საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტების შემდეგი ეტაპები (ნახ. 1).

### I. წინასაპროექტო კვლევა

განეკუთვნება პირველ სისტემურ თვისებას და მის მიზანს შეადგენს დაპროექტებაზე დეტალური ტექნიკური დავალების შედგენა, რომელიც იწყება ახალი ნაკეთობის დამზადებაზე მოთხოვნილების ფაქტის დადგენით ( $\Phi_{1-1}$ ). აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს სამი ფაქტორით - საზოგადოებრივი მოთხოვნა ( $\Phi'_{1-1}$ ), საბაზრო მოთხოვნა ( $\Phi''_{1-1}$ ) ან ექსპლუატაციაში მყოფი მექანიზმის კონსტრუქციის გაუმჯობესება ( $\Phi'''_{1-1}$ ). გარდა ამისა ტექნიკური დავალების შედგენისას მხედველობაში მიიღება სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონე ( $\Phi_{1-2}$ ) და არსებული საწარმოო რესურსები ( $\Phi_{1-3}$ ).

ამრიგად, ეტაპის შესასვლელი მონაცემებისათვის გვექნება

$$\Phi_1 = \{ \Phi_{1-1} \wedge \Phi_{1-2} \wedge \Phi_{1-3} \}$$

სადაც  $\Phi_{1-1} \equiv \{ \Phi'_{1-1} \vee \Phi''_{1-1} \vee \Phi'''_{1-1} \}$

ტექნიკური დავალება შეიცავს დასაპროექტებელი ობიექტის დეტალურ აღწერას ( $\Phi_{1-1}$ ), მის პარამეტრებს ( $\Phi_{1-2}$ ), რომელიც თავის მხრივ იყოფა ფუნქციონალურ ( $\Phi'_{1-2}$ ), ფიზიკურ ( $\Phi''_{1-2}$ ) და საექსპლუატაციო ( $\Phi'''_{1-2}$ ). გარდა ამისა ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრულია იმ ქარხნის საწარმოო პარამეტრები ( $\Phi_{1-3}$ ), რომელშიც ნაგარაუდევია ნაკეთობის დამზადება.

ტექნიკური დავალების გარდა, აღნიშნულ ეტაპზე, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების საფუძველზე, ფორმირდება ტიპური გადაწყვეტები ( $\Phi_{1-4}$ ), რომლებიც გამოიყენება დაპროექტების შემდგომ ეტაპებზე, როგორც გადაწყვეტილების მიღების მოდელი. ამრიგად, გამოსასვლელი მონაცემებისათვის გვექნება:

$$\Phi_1 = \{ \Phi_{1-1} \wedge \Phi_{1-2} \wedge \Phi_{1-3} \wedge \Phi_{1-4} \}$$

2 სადაც  $\Phi_{1-2} = \{ \Phi'_{1-1} \wedge \Phi''_{1-1} \}$

## II. გეომეტრიული მოდელირება.

განეკუთვნება პირველ სისტემურ თვისებას და მის მიზანს წარმოადგენს დასაპროექტებელი ობიექტის გეომეტრიული მოდელის შედგენა. გეომეტრიული მოდელი მათემატიკური ფორმალიზაციის მეთოდებით ასახავს ობიექტის გეომეტრიულ თვისებებს.

გეომეტრიული მოდელის შესაქმნელად საჭირო მონაცემებს შეადგენენ - ობიექტის აღწერა ( $\Phi_{2-1}$ ), პარამეტრები ( $\Phi_{2-2}$ ) და გეომეტრიული პრიმიტივები ( $\Phi_{2-3}$ ), რომლებიც თავის მხრივ შეიძლება შეიცავდნენ სტანდარტულ გეომეტრიულ ელემენტებს ( $\Phi'_{2-3}$ ), როგორიცაა წერტილი, ხაზი, რკალი და სხვ., ან ტიპურ გეომეტრიულ პრიმიტივებს ( $\Phi''_{2-3}$ ) - ტიპური ზედაპირები, ზედაპირის კომპლექსები ან ტიპური კონტურები. მაშასადამე,

$$\Phi_2 = \{ \Phi_{2-1} \wedge \Phi_{2-2} \wedge \Phi_{2-3} \}$$

სადაც  $\Phi_{2-3} = \{ \Phi'_{2-3} \vee \Phi''_{2-3} \}$

თავის მხრივ, გეომეტრიული მოდელი შეიძლება იყოს სამი სხვადასხვა ტიპის: კარკასული ( $\Phi_{2-1}$ ), რომელშიც გამოყოფილია საყრდენი წერტილები და მათი შემაერთებელი ზედაპირები; CGS მოდელი ( $\Phi_{2-2}$ ), რომელიც იგება ცალკეული პრიმიტივებისაგან, რომელთა გეომეტრიული თვისებები მოცემულია ფორმალური პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობებით; B-მოდელი ( $\Phi_{2-3}$ ), რომელიც იგება სასაზღვრო ზედაპირებიდან.

2 ამრიგად,  $\Phi_{2-3} = \{ \Phi_{3-1} \vee \Phi_{2-2} \vee \Phi_{2-3} \}$

## III. ფუნქციონალური მოდელირება

განეკუთვნება პირველ სისტემურ თვისებას, რომლის მიზანიც ნაკეთობის ფუნქციონალური მოდელის დადგენაში მდგომარეობს. ფუნქციონალური მოდელი გამოხატავს თითოეული ზედაპირის დანიშნულებას, ხარისხობრივ და სიზუსტის პარამეტრებს. თითოეული ზედაპირის ფუნქციონალური დანიშნულების, ხარისხობრივი და სიზუსტის პარამეტრების დადგენაში მდგომარეობს.

ეტაპის შესასვლელ პარამეტრებს წარმოადგენენ, ნაკეთობის გეომეტრიული მოდელი ( $\Phi_{3-1}$ ) და წინასაპროექტო კვლევის სტადიაზე ფორმირებული ობიექტების პარამეტრები ( $\Phi_{3-2}$ )

$$\Phi_3 = \{ \Phi_{3-1} \wedge \Phi_{3-2} \}$$

გამოსასვლელი მონაცემების სიმრავლე შედგება - ზედაპირის სიმქისის პარამეტრებისაგან ( $\Phi_{3-1}$ ); სიზუსტის პარამეტრებისაგან - დასაშვები გადახრა ზომიდან ( $\Phi_{3-2}$ ) და ფორმიდან ( $\Phi_{3-3}$ ); ზედაპირის ფიზიკური მახასიათებლების აღმწერი პარამეტრები ( $\Phi_{3-3}$ ) და მასალისაგან ( $\Phi_{3-5}$ )

$$\Phi_3 = \{ \Phi_{3-1} \wedge \Phi_{3-2} \wedge \Phi_{3-3} \wedge \Phi_{3-4} \wedge \Phi_{3-5} \}$$

IV. კონსტრუქციის საინჟინრო ანალიზი

განეკუთვნება პირველ სისტემურ თვისებას და მის მიზანს წარმოადგენს კონსტრუქციის ანალიზი სიზუსტეზე და ტექნოლოგიურობაზე; ნაკეთობის მოდელირება მთლიანი აწყობის შემადგენლობაში და მისი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევა.

შესასვლელ მონაცემებს ასეთი ანალიზის ჩასატარებლად წარმოადგენენ გეომეტრიული მოდელი ( $\Phi_{4-1}$ ), საწარმოო პარამეტრები ( $\Phi_{4-2}$ ), ფუნქციონალური მოდელი ( $\Phi_{4-3}$ ) და მთლიანი აწყობის აღწერა ( $\Phi_{4-4}$ )

$$\Phi_4 = \{ \Phi_{4-1} \wedge \Phi_{4-2} \wedge \Phi_{4-3} \wedge \Phi_{4-4} \}$$

კონსტრუქციის ანალიზი სიზუსტეზე ( $\Phi_{4-1}$ ) უმრავლეს შემთხვევაში დაიწყება ზომათა ჯაჭვისა ( $\Phi'_{4-1}$ ) და ზედაპირების ურთიერთგანლაგების ( $\Phi''_{4-1}$ ) შემოწმებაზე.

ტექნოლოგიურობაზე ანალიზი ( $\Phi_{4-2}$ ) ტარდება ორი, აწყობისა ( $\Phi'_{4-2}$ ) და დამზადების ( $\Phi''_{4-2}$ ) ტექნოლოგიური

პროცესებისათვის.

ნაკეთობის ანალიზი მთლიან აწყობაში ( $\Phi_{4-3}$ ) ითვალისწინებს დასაყენებელი კვანძის ელემენტების ადგილმდებარეობის კონტროლს ( $\Phi'_{4-3}$ ) და კინემატიკურ ანალიზს ( $\Phi''_{4-3}$ ), რომლის დროსაც ხორციელდება მთლიან აწყობის, მუშაობის დინამიკის წარმოდგენა.

ნაკეთობის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ანალიზი სრულდება ორი მეთოდით - მას-ანალიზით ( $\Phi_{4-4}$ ), და სასრული ელემენტების მეთოდით ( $\Phi_{4-5}$ ). მას-ანალიზი საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნას ნაკეთობის ისეთი თვისებები, როგორცაა ზედაპირის ფართობი ( $\Phi'_{4-4}$ ), მასა ( $\Phi''_{4-4}$ ), სიმძიმის ცენტრი ( $\Phi'''_{4-4}$ ), მოცულობა ( $\Phi''''_{4-4}$ ) და ინერციის მომენტი ( $\Phi''''''_{4-4}$ ); ხოლო სასრული ელემენტების მეთოდით შესაძლებელია მექანიკური დაძაბულობების ( $\Phi'_{4-5}$ ), დაჭიმულობის ( $\Phi''_{4-5}$ ), სითბოსა და ველის გავრცელების ( $\Phi'''_{4-5}$ ) და დინამიური მახასიათებლების ( $\Phi''''_{4-5}$ ) გამოკვლევა.

ამრიგად,

$$\begin{aligned} \Phi_4 &= \{ \Phi_{4-1} \wedge \Phi_{4-2} \wedge \Phi_{4-3} \wedge \Phi_{4-4} \wedge \Phi_{4-5} \} \\ \text{სადაც} \quad \Phi_{4-1} &= \{ \Phi'_{4-1} \wedge \Phi''_4 \} \\ \Phi_{4-2} &= \{ \Phi'_{4-2} \wedge \Phi''_4 \} \\ \Phi_{4-3} &= \{ \Phi'_{4-3} \vee \Phi''_4 \} \\ \Phi_{4-4} &= \{ \Phi'_{4-4} \vee \Phi''_4 \vee \Phi'''_{4-4} \vee \Phi''''_{4-4} \vee \Phi''''''_{4-4} \} \\ \Phi_{4-5} &= \{ \Phi'_{4-5} \vee \Phi''_4 \vee \Phi'''_{4-5} \vee \Phi''''_{4-5} \} \end{aligned}$$

#### V. ნახაზების მომზადება

განეკუთვნება პირველ სისტემურ თვისებას და მისი მიზანია საკონსტრუქტორო ნახაზის მომზადება ( $\Phi_{5-1}$ ). რომელშიც გარკვეული წესით ფორმდება გეომეტრიული და ფუნქციონალური მოდელები. ამასთან ძირითადად სრულდება ისეთი პროცედურები როგორებიცაა ზომების განსაზღვრა, დაშტრიხვა, მასშტაბირება, პროექციის მიღება, იზომეტრიისა და პერსპექტივის აგება და სხვ.

ეტაპის შესასვლელ პარამეტრებს წარმოადგენენ, გეომეტრიული ( $\Phi_{5-1}$ ) და ფუნქციონალური მოდელები ( $\Phi_{5-2}$ )

$$\Phi_5 = \{ \Phi_{5-1} \wedge \Phi_{5-2} \}$$

ხოლო გამოსასვლელს

$$\Psi_5 = \{ \Psi_{5-1} \}$$

#### VI. საწყისი ნამზადის შერჩევა

განეკუთვნება მეორე სისტემურ თვისებას და მის მიზანს წარმოადგენს ნამზადის მიღების ოპტიმალური მეთოდის შერჩევა.

